

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N014/17¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

შალვა მხეიძე (სტუდენტი)

შეკითხვა:

2017 წლის 14 ივნისს ეთიკის კომისიას მიმართეს შემდეგი შეკითხვით - იმ შემთხვევაში თუ, ადვოკატი თავად არ ასრულებს კლიენტის მიმართ, მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე არსებულ ვალდებულებას, ხოლო შესრულებას ავალდებულებს მის სტაჟიორს, თანამშემწეს, რომელსაც არ აქვს საკმარისი კვალიფიციურობა საქმის შესასრულებლად, წარმოადგენს თუ არა ეს პროფესიული ეთიკის რომელიმე პრინციპის დარღვევას?

ანალიზი:

ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად დაიცვას კლიენტის ინტერესები, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ რადგანაც შეკითხვაში არ ჩანს კლიენტის თანხმობა ადვოკატის მიმართ, მისი სამუშაოს სხვისთვის დავალების თაობაზე და ის პირი, ვისაც დაევალა სამუშაოს შესრულება, ვერ ასრულებს მას კვალიფიციურობის არქონის გამო, სახეზეა ადვოკატის მხრიდან არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი მომსახურება.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებას - არ ახორციელებს ქმედებებს, რომელიც მან უნდა შეასრულოს, ხოლო მის მიერ დავალებული პირი ვერ შეასრულებს ქმედებებს კვალიფიციურად, ამ ადვოკატის მიერ დარღვეული იქნება კვალიფიციურად წარმომადგენლობის განხორციელების პრინციპი.

¹ რეკომენდაციის სრული ვერსია